# ქარტია

ჩვენ, საქართველოს რაგბის კავშირის ნამდვილი წევრები – რაგბის კლუბები და გუნდები, ასევე საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობის წევრები და პრეზიდენტი ვაცნობიერებთ რა პასუხისმგებლობას მთელი ქართული სარაგბო თემის წინაშე საქართველოში რაგბის საერთაშორისო, ტრადიციული პრინციპების დაცვისა და შემდგომი განვითარების საკითხში, ვითვალისწინებით საქართველოში რაგბის სწრაფი პოპულარიზაციის პირობებში რაგბის სულისკვეთების არასწორად, დამახინჯებულად აღქმის საშიშროებას, ვთანხმდებით რაგბის თამაშის მონაწილეთა (როგორც მოედანზე, ასევე მოედნის მიღმა) ქცევის იმგვარ წესებზე, რომელთა დაცვა უზრუნველყოფს რაგბის, როგორც სამართლიანი, კოლექტიური და რაინდული თამაშის სულისკვეთების თითოეულ მონაწილემდე დაყვანას, გაცნობიერებასა და მათ მიერთებას სარაგბო თემთან და ამ პრინციპების დაცვით ქართული სარაგბო თემის საერთაშორისო მასშტაბით ამბიციური პრეტენზიის რეალიზაციის საშუალებას.

იმის გათვალისწინებით, რომ რაგბი არის არა მარტოოდენ კონკრეტული მატჩი, არამედ ამ სპორტულ თამაშში განხორციელებული რაინდული სულისკვეთება, რაგბის მონაწილეებად მივიჩნევთ: ა/მოთამაშეს (როგორც მოედანზე, ასევე მოედნის მიღმა), ბ/ მწვრთნელს, გ/ მსაჯს, დ/ რაგბის ფუნქციონერს (როგორც კლუბის, ასევე რაგბის კავშირის სხვადასხვა თანამდებობის პირებს) და ე/ გულშემატკივარს.

ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად საქართველოს რაგბის კავშირის ნამდვილი წევრები,  გამგეობა და პრეზიდენტი ხელმოწერით ვადასტურებთ ქვემოთმოყვანილი დეკლარირებული პრინციპებისადმი ერთგულებას და მზადყოფნას დავიცვათ და მუდამ უზრუნველვყოთ მათი დაცვა

1. არ ავნო, არ მიაყენო შეგნებულად ტრავმა, არ დაამცირო
2. პატივი ეცი რაგბის მონაწილეების ღირსებას
3. წაახალისე თანაგუნდელი, დააფასე მეტოქის კარგი თამაში
4. დაემორჩილე წესებს, იმისდა მიუხედავად ეთანხმები თუ არა მათ
5. თამაშის წესები გამოიყენე მხოლოდ კარგი და უკეთესი თამაშისათვის და შედეგს ამ გზით მიაღწიე
6. გახსოვდეს, მარცხი მხოლოდ შენი ბრალია, ეცადე უკეთესი გახდე გაცნობიერებული შრომისა და გამოცდილების შეძენის შედეგად
7. არასოდეს არავინ წააქეზო არასპორტული აგრესიისკენ
8. ეცადე მიიღო და სხვასაც მიანიჭო სიამოვნება რაგბისგან. იმისათვის რომ სიამოვნება მიიღო, უნდა იცოდე, რომ იცოდე უნდა ისწავლო, რომ ისწავლო უნდა გიყვარდეს.